ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2023 წელი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021–2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის ---------
№ განკარგულების დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
2021–2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები

№	საპროექტო წინადადებების დასახელება	საპროექტო დოკუ-მენტაციისა და საექსპერტო მომ-სახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა	პროექტის განხორციე-ლებისათვის გამოყოფილი თანხა
1	ქალაქ ქუთაისში, ლიფტების რეაბილიტაცია		200,000.00
2	ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		946,194.25
3	ქალაქ ქუთაისში, № 4 სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა და შიდა სივრცის რემონტი		266,880.31
4	ქალაქ ქუთაისიში, გაფრინდაშვილის ქუჩის №10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის №3 შორის ჩამოშლილი ფერდის გამაგრება		340,039.36
5	ქალაქ ქუთაისში, კ.გამსახურდიას ქუჩის მეათე შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		119,756.00
6	ქალაქ ქუთაისში, ტ. ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია		363,298.00
7	ქალაქ ქუთაისში, "მუხნარის" ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მშენებლობა		882,964.00
8	ქალაქ ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		4,752,781.99
9	ქალაქ ქუთაისში, ასათიანის ქუჩის №139 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია		183,326.00
10	ქალაქ ქუთაისში, დუმბაძის ქუჩის №2 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია		206,986.00
11	ქალაქ ქუთაისში, კოლხეთის ქუჩის სანიაღვე ქსელის მოწყობა		1,261,162.37
12	ქალაქ ქუთაისში, ე.წ. ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია		1,563,520.61
13	ქალაქ ქუთაისში, საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია		534,859.00

14	ქალაქ ქუთაისში, ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია				1,000,863.06
15	ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა №52-ში მდებარე სპორტდარბაზის რეკონსტრუქცია				800,000.00
16	ქალაქ ქუთაისში, მ. კოსატვას ქუჩის საგზაო ინფრასტრქუტურის სრული რეაბილიტაცია				1,200,000.00
17	ქალაქ ქუთაისში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია				400, 000,00
18	ქალაქ ქუთაისში, №17 სპორტული სკოლის კრივის დარბაზის და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია				2, 211,903.00
					17, 234,533.00

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი